საქართველოს პარლამენტის დადგენილება

პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 1 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №3) შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე წარმოდგენილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიების საფუძველზე, იხელმძღვანელა რა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის a, c, d და e ქვეპუნქტებით,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8)

დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სიაში დასახელებული მსჯავრდებულები (დანართი №1).

2. მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიაში დასახელებული პირები (დანართი №2).

3. საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

4. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნული ინფორმაციის საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მიწოდება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,

2012 წლის 5 დეკემბერი.

№76-Iს

დანართი №2

პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირები

1. ქადაგიშვილი გიორგი – დაბ. [redacted]
2. არჩუაძე გენადი – დაბ. [redacted]
3. გიორგობიანი ბიძინა – დაბ. [redacted]
4. ნასყიდაშვილი გელა – დაბ. [redacted]
5. ქარელი მიხეილ – დაბ. [redacted]
6. ჩიხლაძე იასონ – დაბ. [redacted]
7. ფხაკაძე ლევან – დაბ. [redacted]
8. ხალვაში ქიზარ – დაბ. [redacted]
9. ხალვაში ნიაზ – დაბ. [redacted]
10. ბიწაძე ბადრი – დაბ. [redacted]
11. გიგუაშვილი ზურაბ – დაბ. [redacted]
12. გოგუა გურამ – დაბ. [redacted]
13. გელაშვილი ნიკოლოზ – დაბ. [redacted]
14. გიგაშვილი თემურ – დაბ. [redacted]
15. რაისიანი მელიქ – დაბ. [redacted]
16. ვეტრიაკოვი გოჩა – დაბ. [redacted]
17. ბეგიაშვილი დავით – დაბ. [redacted]
18. ქარქუსოვი იანიკ – დაბ. [redacted]
19. ქარქუსოვი ჯემალ – დაბ. [redacted]
20. ხალვაში ტარიელ – დაბ. [redacted]

21. ჭყონია მარინე – დაბ. [redacted]

22. ბაბლიძე მალხაზ – დაბ. [redacted]

23. რამიშვილი ილია – დაბ. [redacted]

24. შენგელია თეიმურაზ – დაბ. [redacted]

25. ბარამიძე გრიგოლ – დაბ. [redacted]